ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3891091

ნომერი: AR1587380

თარიღი : 21.03.2018

გაცემის თარიღი : 29.03.2018

გაცნობის თარიღი : 29.03.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , დიდი დიღომი ; ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , დიდი დიღომი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- აკაკი ბედოიძე პ/ნ 01027038854
- ვარკეთილი 3, I მკ/რ, კორპ. 13, ბინა 94.

ორგანიზაცია:

- შპს სიმბა2015 კოდი: 406146371

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს: ქ. თბილისში, სოფელი დიღომი , დიდი დიღომი , საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.72.14.036.673), №1959971 ბრძანებით შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსის (სასტუმრო და საზოგადოებრივი კვებისობიექტი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი , გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალოს მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

ვინაიდან ატვირთული საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებული იყო ერთიანი სისტემით კონდიციონირების მოწყობა სამსახური მის ჩანაცვლებას გვერდითა ფასადზე მოწყობის ალტერნატივით არ მიაჩნია მიზანშეწონილად შესაძლებელია მოეწყოს დამატებით ახალი კონდიციონერების გარე აგრეგატები მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში და იმ აუცილებელი პირობის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულის დამონტაჟება განხორციელდება საკადასტრო საზღვრებში, ერთიანი მოწესრიგებული სისტემით (წარმოდგენილია ქაოტურად სხვადასხვა ადგილებზე სხვადასხვა ზომის დანადგარები) ,ხოლო რაც შეეხება სავენტილაციო ხვრელებისს მოწყობას , ვინაიდან აღნიშნული ეწყობა მიჯნის ზონაში და რადგანაც მათი მოწყობით ირღვევა სამეზობლო, მიჯნა მიუხედავად იმისა რომ მასზე ეწყობა ცხაურის ეკრანები (რაც ვერ უზრუნველყოფს მიჯნის დაცვას) სამსახური მათ მოწყობას ვერ დაეთანხმება ვერ დაეთანხმება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს თქვენს საკითხთან დაკავშირებით საჭიროა წარმოადგინოთ განახლებული ფოტომონტაჟი , საპროექტო გეგმები , ხოლო მოთხოვნის შინაარსის ტექსტში დამატებით მიეთითოს ობიექტი მიღებულია თუ არა ექსპლუატაციაში და მოთხოვნის შინაარსში თქვენი მოთხოვნა შეცვალოთ განახლებული ფოტომონტაჟის მიხედვით;

საჭიროების შემთხვევაში, დაზუსტებული ინფორმაცია დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ, კანონით დადგენილ ვადაში.

სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დატოვებული იქნება განუხილველი .

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.